№ 195, სექტემბრის 11, ოთხშაბათი. 1866—1885 სექტემბრის 11, ოთხშაბათი. № 195

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რაცხვა სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გამოლობაზედ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ხელოვრს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.

ბიბლიოთეკა

ქალაქ სიღნაღში

ენკენისთვის 9-დგან გაიმართება პირველ დაწყებითი

სასწავლებელი

სასწავლებელს მმართავენ: რობიტა შვილისა—ბიევსკისა, მარიამ მარჯანიშვილისა და კნ. ნინა ანდრონიკაშვილისა

ფასი ძასწავლოთვის თვეში 2 მანათი.

თბილისი, სექტემბრის 11-ს.

სექტემბერს, სხვათა-შორის, ერთი ფრიად საზრუნავი საგანი მოაქვს ხოლმე თან. ეს საგანი მნიშვნელობას არ არის მოკლებული ჩვენის ცხოვრებისათვის და ამიტომ არ შეგვიძლიან გვერდი აუარაოთ ამ საზრუნაეს გარემოებას. ჩვენის გაზეთის ფურცლებზე ამ დღეებში იბეჭდებოდა სათეატრო განცხადება. მომავალი თეატრის გამგებელი ბ. ვ. აბაშიძე აცხადებს, რომ სათეატრო სეზონი დაიწყობა ოქტომბრის პირველიდამამ და ვთხოვ, როგორც ძველს, ისე ახალს არტისტებს, შემეკრან პიროობით, ვისაც მათგანს ჩემს დასში მონაწილეობის მიღება ჰსურსო.

სჩანს, თეატრის საქმეს მომავალის სეზონისათვის მზრუნველი უჩნდება, სჩანს ამ ზამთარს უთეატროდ არ ვიქნებით და ჩვენს უფერულს და ერთ გვაროვანს ცხოვრებას ცოტაოდენი ხალისი, მცირე სიცხოველე მაინც მიეცემა. მაგრამ, ვიდრე ჩვენ ვიტყოდეთ რასმე მომავალის სათეატრო დასის მოქმედებაზე, საჭიროდ ვსთვლით რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ესტეტიურს განვითარებას ხალხის ცხოვრებაში და რა სავაგლახო მდგომარეობაშია ის ერი, რომელსაც მცირე საშუალებანი აქვს თავის გრძნობის სავარჯიშოდ, საკაცობრიო ენებათა და გულის თქმათა ძესათვისებლად.

ქაცობრიობის ისტორიის მსვლელობა გვასწავლის, რომ ამ მსვლელობის უმთავრესი აზრი, დედა-ძარღვი არის პიროვნების განვითარება, ნამდვილ კაცად გარდაქმნა. სრულიად პროგრესი, წინ სვლა კაცობრიობისა იმაში გამოიხატება, რომ მის ცნობილს ხარისხზე თქვენ ჰპოოთ კაცი, პიროვნება, ინდივიდი, განვითარებული, კაცთ-მოყვარე. წინ სვლა ის არის, რომ გონიერი არსება დაჩაგრულს, ან გაველურებულს არსებას კი არ ჰგავდეს, ისეთს სულიერად კი არ იყოს გამხდარი, რომელსაც მხეცური და გარეულის ინსტიკტებით აქვს სავსე გული, არამედ სიყვარულით, კეთილის გრძნობით, სიწმინდით იყოს შემკული და ნამდვილს ქმნილებათა გვირგვინს წარმოადგენდეს.

ყოველივე, რაც ისტორიაში, კაცთა-ნათესავის წარსულში ჰშველოდა ამ გვარს მუშაობას კაცის პიროვნების განვითარებისას, პროგრესულ მოვლენად ითვლება; რაც ისტორიაში კაცის გაკეთილშობილებისათვის წარმოებულა, ის წარმოადგენს დიდებულს და სასიქადულო საქმეს, ის ირიცხება ნათელ ზოლად სხვაფრივ ბნელ და წყვდიადს საუკუნეთა სრბოლაში.

ადვილი სათქმელია დღეს, გრძნობა განვითარებული კაციაო, წმინდა და ნათელი არსებააო. პირველდელის კაცის ტლანქსა და მხეცურს ბუნებაზე უნდა მთელს საკაცობრიო ისტორიას ემუშავნა, მთელს ოცსა და ორმოცს საუკუნეს დაესრულებინა თავისი შრომა, რომ ადამიანს ადამიანობა დასჩნეოდა, სიბრიყვე განშორებოდა, ცხოველური ინსტიკტები დაეთრგუნა და უარ-ეყო, ძალადობა და მტარვალობა მეჰზიზღებოდა და შეჰყვარებოდა ყოველივე კეთილი, მოყვასი თვისი, როგორც თავი თვისი.

ველა გამოჩენილი მქადაგებელნი და მასწავლებელნი, ყველა საკაცობრიო რელიგიების დამაარსებელნი, ბუდა, ქონფუციოსი ზოროასტრი და სხვანი ჰქადაგებდენ განწმენდას კაცისას ყოველივე ბოროტებისაგან. თვით ჩვენის მაცხოვარის მაღალი სწავლა დამყარებულია კაცთ-მოყვარების იდეიაზე. ბამოჩენილნი სჯულ-მდებელნი უმთავრესს საგნად კაცის კეთილის ინსტიკტების განვითარებას სცდილობდენ და ბოროტს გრძნობათა მოსპობას, აღმოფხვრას. საუკეთესო მოწყობილობა საზოგადობრივის ცხოვრებისა ის იყო და არის, რომელიც კაცის ბოროტსა და მხეცურს ინსტიკტებს გზას უღობავს, ფრთასა ჰკვეცავს და სამაგიეროდ კეთილს მისწრაფებას უღვიძებს.

ამ გვარსავე დანიშნულებას ექვემდებარებოდა და ექვემდებარება დღესაც საკაცობრიო ისტორიაში პირველანდელი და დღევანდელი საერო და წესებულებანი, საერო პოეზია, მუსიკა, გართობა-თამაშობანი.

თითოეული ამ დაწესებულებათაგანი კერძოდ და ყველანი საზოგადოდ კაცობრიობის საზოგადო განვითარებასთან დაკავშირებით წარმოადგენდენ ძლიერს ფაქტორებს კაცის ზნეობრივისა და ესტეტიურის განვითარებისას ამ ფაქტორთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს პოეზიასაც. პოეზია რომ არ იყოსო ამბობს ბერნე, ხალხის ცხოვრება ერთს დაუსრულებელს სისხლის ღვრას წარმოადგენდაო. მართლაც, პოეზიას დიდი გავლენა აქვს კაცის გრძნობაზე და ამ მხრივ იგი დიდს სამსახურს უწევს საკაცობრიო პროგრესს. იგი აკეთილ-შობილებს კაცის გრძნობას, მოქმედობს გულზე, აგრილებს მის ბუნებას, ჰლაგმავს ბოროტს ინსტიკტებს და ხეპრეს ჩვილ არსებად ჰქმნის. პოეზიის საგანი კაცის სულის ვითარების განმარტებაა და ამ მხრივ იგი პირ-და-პირ ადამიანთ სულიერს არსებაზე მოქმედობს.

პოეზიის გვირგვინი არის დრამა და დრამატიული მწერლობა. და რამდენადაც დრამა მაღლა სდგას სხვა-გვარ პოეზიაზედ, როგორც თავის სირთულით ისე შინაარსით, (ეს შინაარსი წარმოადგენს კაცთა პირ-და-პირს მოქმედებას სხვა-და-სხვა გულის თქმათა და ენებათა ზედ-გავლენის გამო) იმდენად მისი მოქმედება უფრო ძლიერია ადამიანის ბუნებაზე. მისი ზედ-გავლენის სფერა უფრო ფართოა, მისი სახსარნი და იარაღნი უფრო მარჯვენი არიან და ამისათვის დრამის სამსახურიც კაცობრიობის წინაშე მისი სულიერის განვითარების შესახებ უფრო დიდია და უფრო საყურადღებო.

აი, ეს დედა-აზრი უნდა შეიგნოს და შეითვისოს ყოველმა ტეატრის მოღვაწემ, რადგანაც თეატრი და სათეატრო დასი უპირველესი შუამავალია, უპირველესი იარაღია დრამის გავლენის გავრცელებისათვის, იმისი კეთილი ზედ-მოქმედობის სიმტკიცისათვის. დრამა თავის-თავად, უთეატროდ, უდრამატიულ დასოდ, მოკლებულია თავის ძალას. რაც უფრო თეატრი კარგად სწარმოებს, რაც უფრო დასი მარჯვე და ნიჭიერია, მით უფრო დიდია გავლენა დრამისა ერზე და საზოგადოებაზე, მით უფრო მეტს სამსახურს უწევს იგი ქვეყნის სულიერისა და ესტეტიურის განვითარების საქმეს.

თუ ჩვენმა სათეატრო დასმა შეიგნო ეს დიდი მნიშვნელობა დრამისა და თეატრისა, თუ ამ შეგნებით მან უფრო გონიერად ერთ-სულად და ერთგულად, თანხმობით და ბეჯითად აწარმოვა თავის მნიშვნელობით სავსე საქმე, მისი ღვაწლი დიდი იქნება ერისა და ქვეყნის წინაშე.

რასაკვირველია, რომ თვით დრამაც თავის თავად სუსტია უდასოდ, უთეატროდ, ისევე როგორც დასი და თეატრი უძლურია და ხელ-მოკლე უდრამოდ. ამიტომ სასურველია, რომ თვით დრამატიული მწერლობა შეივსოს და გავრცელდეს, დრამატიულნი მწერალნი განიმსჭვალონ თავის ხელობის დიდი სარგებლობით და მეტი ყურადღება ათხოვონ დრამას და საღრამო თხზულებათ.

მისურვებთ, რომ მომავალს სეზონს დაემსახუროს ყურადღება ჩვენის საზოგადოებისა, რომ დასმა მხნედ და თანხმობით აწარმოოს საქმე და რომ ჩვენმა მწერლებმაც არ დაიშუროონ თავიანთი ნიჭი, ღონე, და შეძლება თავიანთ ერის სულიერისა და ესტეტიურის განვითარებისათვის.

შინაური ქრონიკა

ფინანსთა მინისტრს ბათუმში ჩვენის წინამძღოლების თ-დი მუხრან-ბატონისა და დ. ი. ყიფიანის გარდა გამოცხადებიან აგრეთვე დეპუტატნი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა. დეპუტაციას უთხოვნია, რომ ხსენებულს ბანკს ნება მიეცეს წარმოებასა. მინისტრს ამ წარმოების შეჩერების მიზეზად ის მოუყვანია, რომ ქუთაისის გუბერნიის მამულები შემოფარგულნი არ არიან, ნამდვილი მიჯნები არ აქვთ ნაჩვენებიო; მაგრამ დეპუტაციას განუმარტავს მათის აღმატებულებისათვის, რომ ჩვენს გუბერნიაში არის ისეთი მამულები, რომლებზედაც ადვილად შეიძლება გაიცეს გირავნობის მოწმობები, რაკი აიხსნება მემკვიდრეობითი უფლებანი და ნაჩვენები იქმნება ნამდვილი საზღვრებიო. ამ საქმეზედვე შუამდგომლობა გაუწევია მინისტრის წინაშე ქუთაისის თავად-აზნაურთ წინამძღოლს დ. ი. ყიფიანს. ფინანსთა მინისტრს დაუიმედებია დეპუტაცია.

ი. მუხრან-ბატონი შუამდგომლობდა პრიკაზში დაგირავებულ სოფლის მამულებზე.

ფინანსთა მინისტრს გამოეცხადენ აგრეთვე თბილისის ქალაქის თავის თან. აღმ. იზმაილოვი და ბაქოს ქალაქის თავი დესპოტ-ზენოვიჩი. ბ-ნი იზმაილოვი შუამდგომლობდა პრიკაზში დაგირავებულ ქალაქის მამულების თაობაზე. მინისტრს მოუსმე-

ნია ეს შუამდგომლობა (რომლის შინაარს შემდეგს №-ში გავაცნობთ მკითხველებს) და გამოუცხადებია, რომ ამ გვარი ზომები შესაბამი იქმნებიანო. ბ-ნს იზმაილოვს წარუდგენია ამ საგანზე მოკლე წერილი, და მალე ამაზედ ფორმალურად მოხდება შუამდგომლობაო.

ბაქოს ქალაქის თავის შუამდგომლობა სურამის ტუნელის გაყვანაზე თანაგრძნობით მოუსმენია ფინანსთა მინისტრს.

ᲒᲒᲒ გაზ. «ნოვ ობზ» აცნობებენ, რომ მთავარ-მმართებელი კავკასიისა ამ თვის 8-ს დაბა საჩხერეში ბძანდებოდა და მეორე დღეს, 9-ს, ჭიათურაში გადავიდა შავი-ქვის წარმოების დასახედავად.

ᲒᲒᲒ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა არდგენს, თურმე კარაბადინს ჩვენის ხალხის წამლობისას და იხსენიებს მხოლოდ იმისთანა მაგალითებს ავადმყოფების მორჩენისას, რომელნიც თავის თვალით უნახავს, ან ფრიად სარწმუნო პირებისაგან გაუგონია. ძარგი იქმნება, რომ პატიეცემული კნეინა ჯორჯაძის მიბაძვით ვინც კი ამისთანა შემთხვევები იცის, რაიმე გზით გამოაქვეყნოს; გაბეოერება საჭირო აღარ არის, რომ უბრალო ექიმები ხანდისხან იმისთანა სენს უმკურნალებენ ხოლმე, რომლის მორჩენა სწავლულ ექიმებს უჭირდებათ და ქვეყნის სარგებლობა მოითხოვს, — ესეთი მაგალითები შეუნიშნავნი არ დარჩნენ.

ᲒᲒᲒ ᲝᲠი დღის წინად ᲑᲝᲠᲡᲐ და ᲥᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ შუა უპოვნიათ გვამი ერთის მოკლულის ებრაელისა. ᲑᲘᲗᲐᲛᲘ რამდენსამე ალაგას დანით დასერილი ყოფილა. ᲛᲙᲚᲔᲚᲘᲡ მოკვლა აღარ უკმარებია და უსულო გვამის დამახინჯება მოუსურვებია. ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲖᲔᲓ ეტყობოდა, თურმე, რომ ეს ავაზაკობა მტრობით ჩაუდენიათ და არა გაცარცვის სურვილით.

ᲒᲒᲒ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ მოგვიყვანა ამბავი, რომ ადგილობრივი პოლიცმეისტერი მიუწვევია სატუსაღოში ერთს დამნაშავეს, გვარად მგალობლიშვილს (შავროვის საქმე) და რამდენჯერმე უსროლია რევოლვერი, მაგრამ ერთხელ ასცილებია და ორჯერ კი რევოლვერი არ გადავარდნილა.

ᲒᲒᲒ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲠᲐᲙᲣᲢᲐᲘᲡᲝᲕᲘ სწერს «ნოვ. ობზრენიე»-ში: ამ ცოტას ხანში ჭიათურაში შავ-ქვაზე მომუშავეთ ამოსთხარეს ვეებერთელა ჩონჩხი ხვლიკისა და ცრუ-მორწმუნე მცხოვრებლებმა აქედამ ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ამ დღეებში ჩვენში გამოჩნდებაო, უეჭველია, ცოცხალი ქვე-წარმავალი საშიშარი არ მარტო მათთვის არამედ მთელის მხრისათვის. ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲛᲐ ისეთი ზარდამცემი გაელენა იქონია, რომ შავი-ქვის მწარმოებელნი ამ დროით მაინც სრულად აძლევენ დღიურ ქირას თავიანთ მუშებს.

ᲒᲒᲒ ᲐᲛ წელს კიდევ ვერ დაამთავრებენ ᲤᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ რკინის-გზას. როგორც სწერენ «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲡ» მხოლოდ მომავალი წლის აპრილისათვის გაიხსნება ეს გზაო.

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ს. ᲙᲣᲮᲘ, სექტემბრის 8. წლევანდელის წლიდან სოფლის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათაც უნდა იქონიონ მოწმობანი და ბილეთები, აღებ-მიცემობის და მრეწველობის უფლებისათვის. (На право торговли и промысловъ). რადგანაც ეს მოწმობანი გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათათვის ახალი საქმე იყო, ამისთვის ᲙᲣᲮᲘᲡᲐ და ᲑᲣᲜᲘᲡ «ამხანაგობის» გამგეობა ფიქრობდა, მანამდის არ აეღო ეს მოწმობა, სანამ განსაკუთრებული ცნობა არ მოუვიდოდა, საიდანაც ჯერ იყო.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ გათავდა. დადგა სიცხეები. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ სასოფლო სასწავლებელში სწავლება შესწყდა. მასწავლებელი, რომელიც მაშინ იბრუნებს ხოლმე სულს (რადგან თავისუფალია), როცა ყოველს სულ-დგმულს სიცხისაგან გული უწუხს, — ზემო-იმერეთისკენ გიახლათ საგრილობელად. «ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ» გამგეობის მესამე წევრად მის მაგივრად დარჩა ადგილობრივი სოფლის მწერალი.

ᲐᲛ დროს ᲮᲝᲜᲘᲡ პოლიციის პრისტავი იბარებს გამგეობის ერთს წევრთაგანს და უცხადებს: თუ ხვალ დილას თქვენს ამხანაგობას ვაჭრობის «პატენტი» არა აქვს კასსას დაგიბეჭდავთ და ამხანაგობას დაეხურავო!(!!?) ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, რომ დილამდის ამხანაგობას «პატენტი» არსაიდან გაუჩნდებოდა; მაშასადამე, ამხანაგობა უნდა დახურულიყო, თუ კი ზემორე მოყვანილი განცხადება ისეთისავე სისწორით აღსრულდებოდა, როგორის სიფიცხითაც იყო ნაბრძანები.

ზემოხსენებული მწერალი შუაღამეზედ მირბის ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ, მეორე დღეს ორი-სამის მანათის «ბილეთის» მაგივრად იღებს (ვიღაც უპრავის ჩინოვნიკის წყალობით) 12 მანათის «მოწმობას» და საღამოსთვის ჰგზავნის სოფელში. მეორე დღეს მობრძანდება ბატონი პრისტავიც, რომელსაც ხვდება ერთი წევრი გამგეობისა (გლეხთაგანი, ᲮᲝᲜᲘᲡ მოვაჭრე) ახალი აღებული მოწმობითურთ. «მოწმობა მცირე ფასიანი აგილიათო! .» ითხოვს კასსის გასაღებებს დაჟინებით...

შეფიქრიანდა და დალონდა გამგეობის წევრი და იკადრა ამ დროულმა კაცმა კეთილი საქმისათვის ტყუილის მოგონება: «გასაღებები, ბატონო, (ატყუებს ბატ. ჩინოვნიკს) ორის თვის ვადით სხვაგან წასულმა ერთმა გამგეობის წევრმა, აქაურის სკოლის მასწავლებელმა, თან წაიღო»...

მაგრამ გადავრჩით! დასძლია სიბრალულმა: ამხანაგობა აღარ დაგვიხურა.

ᲐᲛ «ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ» მოსმენის შემდეგ, მგონი უადგილო არ იქნება, რომ აქვე მოვიხსენოთ, რომელ ამხანაგობას რა ფასის მოწმობები ეთხოვება კანონით:

როცა ამხანაგობის თანხა ძირის ფული, წილის ფულები (паи) აღემატება 100,000 მანათს, საჭიროა მოწმობა 1 გილდიისა.

როცა ამხანაგობის თანხა, ადის 20,001—100,000 მანათამდის, საჭიროა მოწმობა მეორე გილდიისა. 5,001—20,000 მანათამდის მოწმობა წვრილმანი ვაჭრობისა. 5,000 მანათამდის კი ბილეთი წვრ. ვაჭრობისა.

1 გილდიის მოწმობა ყველგან ღირს 565 მანათი. სხვა მოწმობანი და ბილეთი კი სხვა და სხვა ადგილისთვის სხვა და-სხვა ფასად ჰღირს, მაგალითად, სოფელში მყოფ ამხანაგობათათვის მოწმობა 2 გილდიისა ჰღირს 40 მანათი, მოწმობა წვრილმანი ვაჭრობისათვის 10 მანათი, ბილეთი წვრილ. ვაჭრობისა, რომელიც წელს გვეჭირვებოდა — ᲙᲣᲮᲘᲡ და ᲑᲣᲜᲘᲡ ამხანაგობას ჰღირს 2 მანათი.

ᲐᲛᲐᲡ გარდა, ქალაქებისა და ერობის დაწესებულებათა სასარგებლოდ ზევით მოხსენებულ ფასებს ემატება 10—15 %-მდის.

—

ᲔᲠᲗᲘ გადიწყვეტილება კი შეღავათს აძლევს ამხანაგობათა: მაისის 25-ს 1882 წელსა უმაღლესად დამტკიცებულის აზრით სახელმწიფო რჩევისა «ამხანაგობათაგან გასესხებული ფულების თამასუქები თავისუფალნი არიან ღერბის გადასახადისაგან». მანამდის კი და დღესაც ზოგი ამხანაგობანი ღერბის ქაღალდზედ სწერენ თავიანთ თამასუქებს და უბრალო ხარჯსა სწევენ...

ნ.—ᲫᲘ.

დ. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ენკენისთვის 6-ს. ᲐᲛ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სამსჯავრო პალატის გონიერი და ფრიად სამართლიანი მაშუალობის მეოხებით სახელმწიფო რჩევას წელს გადაუწყვეტია, როგორც გვაუწყებენ სატახტო ქალაქების გაზეთები, რომ გაძლიერდეს ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამსჯავროთა შტატები. ᲔᲡ გაძლიერება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის მაზრებში უნდა დაიმართოს ოცამდე მომრიგებელ სამსჯავროების განყოფილებანი (мировые участки). ᲑᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ თუმცა გადაწყვიტა, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სახელმწიფო რჩევამ ნახსენებ შტატთა გაძლიერება, რომელიც აწ მდგომარე ენკენისთვიდან უნდა მომხდარიყო იმავე გაზეთების სიტყვით, მაგრამ ჩვენს დაბაში, რომელიც ღირსეულად არჩეულია ერთი მომრიგებელი განყოფილების ადგილ-სადგომად, ჯერ-ჯერობით არავითარი ოფიციალური განკარგულება არ მოსულა განყოფილების გახსნის თაობაზე. მით უფრო საკვირველია ამ განკარგულების მოუსელელობა ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ, რომ თუ სადმე კი — აქ პირველად უნდა გახსნილიყო განყოფილება, რადგანაც არც ერთი კუთხე ᲚᲘᲮᲘᲡ-ᲛᲗᲘᲡ აქვე ისე არ ჰსაჭიროებს მოსარიგებელ იუსტიციას (სამართალს), როგორც ჩვენი. მჭიდროდ დასახლებული, შედარებით განცხოველებულ აღებ-მიცემის მიმდევარი და მდიდარი სანაპირო ᲑᲣᲠᲘᲐ, რომლის მთავარი სავაჭრო პუნქტი არი დ. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ — განცალკევებული და მოწყვეტილია დანარჩენის მაზრიდან მაღალი მთის ქედით — ᲔᲚᲔᲗᲘ, რომელზედაც გადასვლის სიძნელეს ზედ ერთვის მრავალ მდინარეების: ᲡᲣᲑᲘᲡ, ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ და სხვ. ყოველ წვიმის შემდეგ ნაპირებიდან საშინელი გადარება — რომელიც თითო კვირაობით და ხან უფრო ხანგრძლივად — სპობს ყოველგვარ მისვლა-მოსვლას ქ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲗᲐᲜ, რომლის მომრიგებელი მსაჯულის განყოფილებაში შედის აგრეთვე სანაპირო ᲑᲣᲠᲘᲐᲪ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ავდრებისა და წყალდიდობისაგან მისვლა-მოსვლის მოსპობის გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე იმასაც, რომ ბევრი სოფელი სანაპირო ᲑᲣᲠᲘᲘᲡᲐ 40—45 ვერსით ჰშორაევენ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ სამსჯავროს. — ᲧᲕᲔᲚᲐ ეს გარემოებანი, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ მომრიგებელი მსაჯულის პ. ᲑᲐᲑᲘᲜᲘᲡ გონივრულ და ენერგიულ წარდგენილობათა წყალობით მხედველობაში მიიღო ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სამსჯავრო მთავრობამ და ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ აღნიშნა ერთ იმ პუნქტთაგანად, რომელშიაც უნდა გახსნილიყო მომრიგებელი განყოფილება, სახელმწიფო რჩევისაგან ახალ შტატების დამტკიცების შემდეგ. ᲔᲮᲚᲐ კი, რაკი პალატის შუამდგომლობამ გასჭრა, ვთხოულობთ — რაც შეიძლება დაგვიჩქარონ სამართლიანად აღთქმული და ჩვენთვის აუცილებლად საჭირო მოსარიგებელი განყოფილების გახსნა ..

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ არ შემიძლია გვერდი ჩაუარო იმ — მართლაც რომ ძნელად ასახსნელს მოვლენას, რომელიც ამას წინად აღნიშნა გაზ. «Нов. Обозрѣніе»-მ და რომლის მსგავსი მარტო ჩვენში თუ მოხდება. საქმე ის არის, რომ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ გეგმობს, რაღაც მანქანების წყალობით, ყოველწლობით ხდება გარდასახადი ჩაფრის разсыльной) საქირავებლად ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ მომრიგ. მსაჯულის თანაშემწის ბ. ᲡᲚ — სთვის, რომელსაც აბარია საგამომძიებლო ნაწილი. ჩვენ ნამდვილად ვიცით — რომ სამსჯავრო მთავრობა აქ სრულიად არაფერს შუაშია. მაშ ვინღამ შესძინა ეს ᲨᲔᲢᲘᲡ-ᲒᲐᲠᲔᲗᲘ შემოსავალი ბატ. ᲕᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲡ?

Ჯ.

უცხოეთი

◆◆ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ გაზეთები, თითქოს, დარწმუნებით ამბობენ, რომ გრ. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘᲡ განგებისად ასტეხა უსიამოვნება ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐ და ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡ შორის, რომ ამით დაენახა, თუ როგორ შეხედაეს ამ საქმეს საფრანგეთი,

გაიხსენებს თუ არა ელზას-ლორენს და ამ მიზნით გამოუცხადებს ესპანიას თანაგრძნობას თუ არა მაგრამ ამ გვარი განმარტება ინგლისურ გაზეთებისა, მართლაც, რომ ახირებულ მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს. ბანა თ-დს ბისმარკს როდისმე უფიქრია, რომ საფრანგეთს არ ახსოვდეს ელზას-ლორენი. საფრანგეთის გრძობის გამოაშკარავებისათვის საჭირო არ იყო, რომ ბერმანიას ასეთის საშუალებისათვის მიემართა. მართალია, საზოგადებრივი აზრი საფრანგეთისა ესპანიისადმი თანაგრძნობას აცხადებს უკანასკნელ შემთხვევათა გამო, მაგრამ ოფიციალური საფრანგეთი,— მმართებლობა ძალიან თავ-დაჭერილია, გულში ინერგავს ყოველ-გვარ მძულვარებასა და თანაგრძნობას. «შეგვიძლიან ვიფიქროთ ელზას-ლორენის დაბრუნებაზედ, მაგრამ ლაპარაკით არ უნდა ვლაპარაკობდეთ ამაზედ»...—ამბობენ საფრანგეთის თითქმის ყველა წრეებში განურჩველად.

ესპანიის მინისტრთა რჩევის ერთს სხდომაზე მინისტრს თავს-მჯდომარეს, ქანოვას-დელ-ქასტილიოს გამოუცხადებია შემდეგი: «ჩვენ არა გვყავს ფლოტი, არც საკმაო სამხედრო სურსათი; ჩვენი ზღვის ნაპირები გაუმაგრებელია და თოფ-ხანები დაცარიელებული. თუ სამხედრო დასი თვისას გაიკვანს, მე დავტოვებ ჩემს ადგილს, რაკი ვერა ღონის-ძიებით ვერ შევიძლებ მშვიდობიანობის დაცვას. თუ ვერას გავხდი რას,—წავალ სადმე მიყრუებულს ადგილს ჩვენის სამშობლოისას და იქიდამ ვიგლოვ-ვიტირებ იმ კაცების სულელურ მოქმედებას, რომელნიც ბრმებივით თვით შეეჯახენ მოსალოდნელ უბედურებას.»—მაგრამ ხალხი ყურს არ უგდებს ასეთს განცხადებათ და დიდად თავის-დამცირებად მიაჩნია ბერმანიის წინაშე ბოდიშის მოთხოვა ამ სახელმწიფოს ელჩისა და დროშის შეურაცხ-ყოფისათვის.

◆◆ პრუსიიდამ დღე-დღეზედ იდევნება სულ მეტი და მეტი რიცხვი ამ სახელმწიფოს არა-ქვეშევრდომთა. რუსის ქვეშევრდომთაო—სწერენ ერთს ავსტრიულს გაზეთში—ძლიერ სასტიკად ეპყრობიან განდევნის დროსაო. ამ მემთხვევაში ავსტრო-ვენგრიელთ უფრო თავაზით ეპყრობიანო; უკანასკნელთ შესახებ დიდს მზრუნველობას იჩენს პრუსიის მთავრობაო. ამბობენ,—ვითომც, საფრანგეთის ქვეშევრდომ პოლშელებსაც გამოეცხადათ პრუსიიდამ გასელაო.

◆◆ სრულიად საფრანგეთის ყურადღება დღეს-დღეობით მიპყრობილია მომავალ პარლამენტის არჩევნებზე. სწორედ ორი თვის შემდეგ ამ არჩევნების დასრულებისა უნდა მოხდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის ამორჩევა. ეს შინაგანი საქმე იწირავს მთელს ყურადღებას საფრანგეთისას და ცხადია ამიტომ, თუ საფრანგეთი რად არ ეკიდება ამ ჟამად გარეშე მოვლენათ, რად უცქერის გულ-გრილად ბერმანიისა და ესპანიის შორის ამტყდარს დავას. საფრანგეთის რესპუბლიკას საკმაო დავი-დარაბა აქვს ატეხილი შინაურობაში და სანამ ასე თუ ისე არ დალაგდება ეს დავი-დარაბა, მანამ ოფიციალური საფრანგეთი გარეშე პოლიტიკას არ დაეძებს. საფრანგეთში ერთი და ორი არ არის ისეთი დასი, რომელთანაც არჩევნებზე დიდი ბრძოლა დასჭირდება რესპუბლიკას, რესპუბლიკურს დასს. მონარქიელებმა ხმა აიმაღლეს; კრებას კრებაზე ახდენენ და ამუშავებენ თავიანთ პროგრამას.

თავიანთ პროგრამაში მონარქიელნი არ ამბობენ გადაწყვეტით»— რესპუბლიკა ანუ მონარქია»—ო, მაგრამ ითხოვენ კონსტიტუციის 8 მუხ. ძალაში მოყვანას და ამ მუხლის ძალით ნება ექმნებათ სჯა იქონიონ მასზე, თუ რა გვარი მმართველობაა საჭირო. ბონაპარტიელნიც ფხიზლად არიან. თუმცა ერთმა ფრანცუზულმა გაზეთმა იწინასწარმეტყველა, რომ სედანისა და მეცის შემდეგ ნაპოლიონიდების ჩამომავალმა გულშიაც არ უნდა გაიელოს კვლავ გაბატონება საფრანგეთშიო, მაგრამ პრინცი ნაპოლეონი ბაი-ბურშიაც არ იღებს ამ წინასწარმეტყველებას და აცხადებს თვისს მანიფესტს. მხოლოდ ერთი რამ არის გასაკვირველი ამ ტახტის მეძიებელის მანიფესტში. ერთსა და იმავე დროს პრინცი ემუქრის რესპუბლიკასაც და მანარქიასაც. მაგალითად მოვიყვანთ ნაწყვეტს ამ მანიფესტიდამ. პრინცი ამბობს: «თუ როიალისტები განიზრახავენ რესპუბლიკის შეხებას—გამოჩნდება ნაპოლეონიდი, რომელიც დედა-მიწის ზურგიდამ მოსპობს მათ (როიალისტებს)». ამავე დროს პრინცი ემუქრება რესპუბლიკელთაც, თუ კი ამათ ხელი შეუშალეს საფრანგეთის ხალხს, რომელიც, თავის სურვილისამებრ, მოინდომებს ასეთის თუ ისეთის მმართებლობის დამყარებას: «მაშინ,—გადაჭრით მიმართავს ხალხს პრინცი ნაპოლეონი,—რევოლიუცია ერთად-ერთი სახსარი-ღა დარჩება შველისათვის, და შენ გრწამდეს, რომ სარდლად კვალად ნაპოლეონიდი გეყოლება, რომელიც გამარჯვებას მოგიხვეჭს».

◆◆ სპარსულს გაზეთს «შემს» სწერენ ჭელათიდამ—ბელუჯისთანის დედა-ქალაქიდამ: «მშვიდობიანი მიმართულება «ავღანის საქმისა» ბევრს შეჰმატებს ინგლისის მმართებლობას; იგი საიმედოდ გაამაგრებს ინდოეთის სამზღვრებს და დაუახლოვდება ინდოეთის მოსამზღვრე სამთავროების მბრძანებელთ, რომელნიც დიდს სარგებლობას მისცემენ მას, თუ ოდესმე რუსეთთან შეტაკება მოუხდა. ჩვენმა ხანმა ადრინდელის ტრაქტატების ძალით პირობა დასდო, რომ თუ ინდოეთს რომელიმე გარეშე მტერი დაემუქრება, განსაზღვრულის ქირით გამოიყვანოს თვისი ჯარი, განსაკუთრებით ცხენოსანი ჯარი, რომელიც განთქმულია ბელეჯისთანში. ამგვარივე პირობის შეკერას ავღანთანაც სცდილობს დღეს ინგლისი; ამასა ჰსურს ჰსურს ბელეჯისთანის ჯარი მიეშველოს ავღანს, თუ რომ ეს უკანასკნელი რუსეთს ომს გამოუცხადებს რომ უფრო მოიგოს ჩვენი ხანის გული, ინგლისმა გაადიდა ყოველ წლიური სუბსიდია, რომელიც ხანს ეძლეოდა. ინგლისს განზრახვა აქვს აგრეთვე—შეუსრულოს ჩვენს ხანს სურვილი და ჩვენი დედა-ქალაქი რკინის გზით შეუერთოს მვეთას. ავღანის მუდმივ ჯარში 50,000 კაცი ითვლება, ბელეჯისთანისაში-კი 30,000...—ამ რიგად ინგლისს სწადიან მკვიდრად დაუკავშიროს ერთმანეთს ავღანი და ბელეჯისთანი, რომ საჭიროების დროს, ძლიერნი დამცველნი ჰყავდეს ინდოეთს.»

გამოცანები*)

1. ერთი რამე სულიერი
დაიარების ჩოჩითა,
ფეხებში ბორკილს შეიყრის,
შვილებს დაარჩენს ბლოჭითა;
თუ შენ ამას გამოიცნობ—
ხვალ გაგიხსნილებ გოჭითა.

—

2. ერთი რამ არის ასეთი
უმიწოდ გაიზდებისო,
მოხვნა, მომკვა და მოთესვა,—
არც ერთი მოუნდებისო
და იგი ყოველს წელიწადს
ძირით ამოიფხვრებისო.

—

3. შარავანდელი ხელმწიფე
ვითა ლამპარი ენთების,
ცეცხლისა ნაპერწკალია,
აბედს არ მოეკიდების;
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,
სიბრძნის სწავლა არ ექმნების.

—

4. დადგეს სკამი და დაადგეს
ბუმბათი კამარიანი,
ზედან დააწყეს ზოდები,
ვერცხლია, ანუ ხიანი;
ყვავილი ნარგიზს მიუგავს
ურიცხვი ვარსკვლავიანი,
ბვერდით უსხედან მთვარენი,
ძალნი პირ-მარიხიანი.

—

5. იგი შეჯდა ხმელსა ხესა,
რაზომიცა რკინა იყოს,
მან მიმართოს მხედარისა,
სად უფროსი ჯარი დგესა;
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,
ძროხაა და ძროხა იყოს.

—

6. ერთი რამე სულიერი,
მინდორს დადის მწყერივითა,
შუშა დააქვს, ცეცხლსა უფრთხის,
მკრთალი არის ქალივითა,
მე მინახავს თავადები
დაჰყვებოდენ ყმანივითა.

—

7. ძაცი ყანასა სთესავდა,
ბრძენი, გულისა ხმიერი,
ბუთანი ჰქონდა ჩალისა
და ხელი მისი ძლიერი
სთესავდა, ღმერთსა ესვრიდა
ყოველი ადამიანი.

—

8. ერთსა პატარას ჯიხურსა
სამი კარი აქვს ნაგები,
ორი აქვს მუდამ გახსნილი,
მესამეს დავებაგები,
ლალ-მარგალიტით წყობილი,
მჭვრეტელთა გულის სადები,
ბროლისა სვეტი უყრია
ტურფად თლილი და სადები.

—

9. ერთი რამ უცხო ნათელი
ქამკამებს მოუწყინარად,
ხან-და-ხან ახლავს მოყვასი,
ხან-და-ხან თავის წინა არს,
ხან და-ხან ფერი დაკრთების,
მოყვასთა მოსაწყინარად;
ამისი გამომცნობელი
ახლა თქვენ ბრძანეთ—ვინა არს.

—

10. ორდეს ცანი წარიგრაგნეს,
მაშინ იქმნენ წიგნნი ტყავად,
ოქრო ქრთამად არ გავიჯეს,
თუნდა გქონდეთ მოსარწყავად;
ორიგინე, პეტრე, ნისტოთ,
არიოსთა იდგეს შავად,—
ჰოიმე, თუ მეც მეკითხოს,
ჩემის ცოდვის დამნაშავად.

1 ობობა. 2 ირმის რქა. 3 ციცინათელა. 4 ბუხარი და ცეცხლი. 5 თოფი. 6 ირემი. 7 წიგნი, კალამი და ქაღალდი. 8 კბილები და ტუჩები. 9 სანთელი. 10 მეორედ მოსვლა.

*) ეს გამოცანები ა. ახ—საგან მოპოებულია სოფ. კნოლევში, ფალავანდიშვილების ოჯახში ძველ ხელთ-ნაწერებ შორის.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

სექტემბრის 9-ს.

პეტერბურგი. ბოლგარიის ამბებმა ძალიან დასწია საგეზსელო კურსი: კურსი ლონდონში $23^{11}/_{16}$ ბენს., ბერლინში $201^{3}/_{4}$ გერმ. ბუენინ., ბარიჟში $249^{1}/_{2}$ სანტ.; ოქრო 8 მან. და 35 ღირს ხუთ-მანათიანი; სახელმწიფო ფონდებმა, საქალაქო ობლიგაციებმა და გირავნობის სესხის ფურცლებმა დაიკლეს $^{1}/_{4}$%.

სოფია. ეროგლეგან მსურველნი რაზმებს არდგენენ; ყველა მხრიდამ იგზავნებიან შემოწირულებანი ნაციონალურის საქმის დასაცველად. ქალაქი სოფია ბაირაღებით არის შემკული.

ვენის „ბოლიტიკური კორესპონდენცია“ დიდს როლს მიაწერს დოქტორს სტრანსკის, რომელიც გამოცხადებულ იქმნა ბრეზიდენტად.

განკარგულებაა, რომ ყველა გამოვიდეს სალაშქროდ 18 წ. 40 წლამდე.

გაბრიელ-ფაშა კოშბრგოშჩიცაში წაიყვანეს ფილიპოპოლიდამ 12 ვერსის სავალზე.

იმედი აქვთ, რომ ბოლგარია და აღმოსავლეთის რუმელია გამოიყვანს 50,000 კაცს. შემდგომს

ჯარს, ისე მსურველნი რომ არ ვიანგარიშოთო.

სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ფთხილად უჭირავთ თავი. ბრიტანიის კონსული თანაუგრძნობს ოვველსავე, რაც მოხდა.

ᲑᲘᲠᲟᲐ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ ᲡᲕᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 9.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — — $24^1/_{32}$ $24^1/_8$ 24
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — — $204^3/_8$ 205 $204^1/_4$
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე — — $252^3/_4$ $252^1/_2$
პოლუიმპერიალები — 8 მ. 26 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები — 8 მ. 25 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი — 1 მ. 33 კ. გაუ.
ბირუის დისკონტი — — $5^1/_4$ და $6^1/_2$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — $99^1/_2$ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა — $99^1/_4$ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა — $98^1/_2$ მ. მუ.
მეოთხე გამოც. — — $98^1/_2$ მ. მუ.
მეხუთე გამოც. — — 98 მ. 62 კ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — $97^1/_2$ მ. გაუ.
მეორე გამოც. — — 97 მ. 62 კ. მუ.
მესამე გამოც. — — $97^1/_2$ მ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — $220^1/_4$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — $208^1/_4$ მ. გაუ.
ოქროს რენტა — — 174 მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები — — — 27 წ. $89^1/_2$ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 92 მ. გამუ.
43 წ. 90 მ. გამუ.

ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ენკენისთვიდამ 1 ღვინობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა	—	—1	გირ. 5 ჯ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	—	—1	ბ. $2^1/_2$
მეორისა	— —	—1	ბ. 2 ჯ.
იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:			
პირველი ხარისხის		—1	ბ. $4^1/_2$
მეორისა	— —	—1	ბ. 3 ჯ.
მესამისა	— —	—1	ბ. $2^1/_2$
ჯვარის-მამის პური:			
პირველის ხარის ლავაში		1	ბ. $4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში		1	ბ. $3^1/_2$
მესამისა	— —	—1	ბ. 3 ბ
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა		—1	ბ. 6 ჯ.
ძეორისა	— —	—1	ბ. 5 ჯ.
სუკი	— —	—1	ბ. 13 ჯ.
ცხვრის ხორცი	—	—1	ბ. 7 ჯ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა		—1	ბ.
მეორისა	—	—1	— ბ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.
ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.
ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.
თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
სურამიდამ თბილისში შემოდი
8 საათზედ 24 წამ. დილით

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲣᲑᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲡᲜᲐ

1 ᲙᲚ. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲗ

ᲣᲛᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲔᲛ ᲜᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ. ᲥᲣᲩᲐ ᲛᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ № 99.

(5—4)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲐᲡᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲗᲘᲐ

ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡᲗᲒᲘᲡ.

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲜᲐᲡᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲗᲝᲗᲘᲮᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: Ა) ᲞᲐᲢᲐᲠ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲐᲕᲔᲑᲘ, Ბ) ᲖᲚᲐᲞᲠᲔᲑᲘ, Გ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲓᲐᲛ (ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲛ), Დ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲛ.

ᲬᲘ�გᲜᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ. ᲥᲐᲚᲐᲥ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲛ ᲕᲘᲜᲪ ᲔᲠᲗᲡ ᲔᲙᲖᲔᲛ�პᲚᲘᲐᲠᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲡ, ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲝᲡ. ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ 10-ᲡᲐ, ᲛᲐᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐ ᲪᲐᲛᲔᲢ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ, ᲮᲝᲚᲝ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

(25—16)

ᲡᲐᲗᲔᲐᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 1-ᲓᲐᲛ 1886 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲛᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲬᲕᲔᲒᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲐᲡᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲡ.

(10—10) ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔ Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲥᲐᲕᲐ ᲛᲝᲜᲓᲕᲔ

Ს. ᲡᲘᲣ ᲓᲐ ᲫᲝ.

(Ц. 2592).

(46—28)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲝᲢᲔᲑᲘ



ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲝᲚᲘ 6 ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲓᲒᲐᲜ, ᲓᲐ ᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲝᲚᲘ 10 ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲓᲒᲐᲜ; ᲛᲐᲗᲘ ᲯᲔᲘᲑᲔᲑᲘ, ᲖᲦᲕᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲢᲔᲜᲘᲚᲘ 4-ᲓᲒᲐᲜ 8 ᲛᲐᲜᲐᲗᲐᲛᲓᲘᲜ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲘᲣᲘᲓᲔᲑᲐ 25%-Თ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲐᲤᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲓᲛᲔ: ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ, ᲩᲐᲓᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲔ, ᲡᲐᲨᲐᲥᲠᲔ, ᲙᲝᲕᲖᲔᲑᲘ, ᲨᲔᲤᲘᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲒᲚᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐᲡᲐᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲘ, ᲡᲢᲐᲥᲜᲔᲑᲘ, ᲡᲣᲤᲝᲠᲜᲘᲙᲘ, ᲡᲐᲬᲣᲐᲗ, ᲠᲘᲣᲛᲙᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲐᲨᲣᲠᲘ, ᲗᲔᲗᲠᲨᲔᲑᲘ, ᲑᲚᲘᲣᲓᲔᲑᲘ, ᲡᲐᲡᲐᲚᲐᲗᲘᲡᲔᲑᲘ, ᲢᲐᲨᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲠᲫᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲠᲩᲘᲪᲘᲡ ᲡᲘᲗᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲕᲠᲝᲜᲙᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲕᲠᲝᲜᲙᲔᲑᲘ, ᲙᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲙᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲐᲚᲕᲘᲠᲔᲑᲘ, ᲮᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲑᲐᲓᲝ ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲕᲐᲠᲘ, ᲮᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲑᲐᲓᲝ ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲕᲐᲠᲘ, ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ, ᲥᲚᲘᲑᲔᲑᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲝᲯᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘ, ᲠᲘᲥᲔᲑᲘ, ᲖᲐᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ, ᲙᲐᲠᲗᲝᲤᲘᲚᲘ, ᲡᲘᲣᲚᲔᲑᲘ, ᲮᲐᲝᲜᲔᲑᲘ, ᲜᲘᲩᲑᲔᲑᲘ, ᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲘ, ᲞᲠᲣᲤᲘ, ᲡᲐᲑᲜᲔᲑᲘ, ᲩᲣᲚᲥᲔᲑᲘ, ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘ, ᲡᲣᲤᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲚᲤᲔᲢᲙᲔᲑᲘ, ᲠᲒᲝᲚᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲗᲘᲡ ᲭᲣᲠᲭᲚᲘ, ᲛᲣᲠᲐᲑᲔᲑᲘ, ᲙᲐᲛᲤᲝᲢᲔᲑᲘ, ᲙᲘᲗᲣᲚᲔᲑᲘ, ᲡᲝᲣᲡᲔᲑᲘ, ᲖᲦᲕᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ, ᲓᲘᲛᲘᲙᲘᲢᲝᲜᲔᲑᲘ, ᲑᲝᲛᲑᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ № № 95, 94, 9, 3, 91 ᲓᲐ 90, 89, 88, 87, 86, ᲓᲐ 85, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

(100—23)

Пріятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питаніе.
Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.
Цѣна kop. въ 20 плит. 1 р. 20 k. ½ kop. 70 k.
Перес. kop. 40 k., 2 kop. 60 k. и т. д.

(Ц. 15375.). (50—17)

Ი. Ა. ᲤᲝᲠᲐᲥᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ Დ. Ს. ᲡᲐᲠᲐᲯᲝᲕᲘᲡ

ᲡᲞᲘᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲧᲘᲡ ᲓᲔᲞᲝ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ Д. ᲡᲐᲠᲐᲯᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ).

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚᲘ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲧᲘ სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲛ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲡ: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева.

(20—19)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance ᲓᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲩᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡᲔᲣᲚᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ № № 95, 94, 93, (92 ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲚᲐᲜᲙᲝᲡᲘ) 91, 90, 89, 88, 87, 86 ᲓᲐ 85 ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲐᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲧᲘᲓᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲭᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲭᲧᲘᲓᲝᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲩᲐᲘ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲐᲤᲐᲓᲐᲪ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲓᲛᲔ. ᲓᲐᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲪᲝᲜᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲝᲜ

ᲩᲕᲣᲜᲘ ᲩᲐᲘ	1	ᲤᲜ. —	ᲙᲐᲞ.	ᲩᲐᲘᲡ	სხვაგან	1 ᲛᲜ	20 ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.
,, ,,	1	— 20	—	,,	,,	1	— 50 —
,, ,,	1	— 40	—	,,	,,	1	— 80 —
,, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ	1	— 60	—	,,	,,	2	— 20 —
,, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ	1	— 80	—	,,	,,	2	— 50 —
,, ᲤᲣᲩᲔᲤᲣ	2	— ,,	—	,,	,,	2	— 80 —
,, ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ	2	— 40	—	,,	,,	3	— ,, —

ᲢᲠᲐᲥᲢᲘᲠᲔᲑᲘ, ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ, ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ ᲓᲘᲓᲜᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲡᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲘᲧᲘᲓᲘᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲡ ᲡᲣᲜᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲐᲓ.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲣᲥᲐᲦᲐᲚᲓᲝᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ 6-Ს ᲒᲘᲠᲕ. ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ, ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲤᲐᲡᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲑᲡ. ᲘᲥᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ 30% ᲣᲤᲠᲝ ᲘᲐᲤᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ: ᲔᲡᲔᲜᲪᲘᲐ ᲙᲐᲙᲐᲝᲡᲘ, ᲑᲘᲡᲙᲕᲘᲢᲔᲑᲘ, ᲗᲔᲤᲨᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ, ᲙᲚᲘᲝᲜᲙᲐ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ, ᲢᲐᲑᲐᲙᲔᲑᲘ (ᲤᲝᲠᲓᲜᲝᲡᲔᲑᲘ), ᲓᲐᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲚᲔᲑᲘ, ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘ, ᲙᲠᲐᲝᲢᲔᲑᲘ, ᲓᲐ ᲡᲮᲕ.; ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲘᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ—ᲐᲘ ᲡᲐᲘᲔᲠᲣᲛᲚᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲒᲘ ᲰᲧᲘᲓᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲡ, ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲡ, ᲙᲠᲐᲝᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

(100—26)

Доз. ценз. Тифлисъ, 10 Сентября 1885 г. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Გ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ